





მარგარეტ ლორენსი

# ქვის ანგელოზი

დიდგენის  
ბიბლიოთეკა

მარგარეტ ლორენსი  
ქვის ანგელოზი

Margaret Laurence  
THE STONE ANGEL

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ

გარეკანზე: ვილჰელმ შამერსჰოის „ინტერიერი, ზურგით მდგომი ქალიშვილი“ (ფრაგმენტი)



Canada Council    Conseil des arts  
for the Arts        du Canada

We acknowledge the support of the Canada Council for the Arts, which last year invested \$153 million to bring the arts to Canadians throughout the country.

Nous remercions le Conseil des arts du Canada de son soutien. L'an dernier, le Conseil a investi 153 millions de dollars pour mettre de l'art dans la vie des Canadiennes et des Canadiens de tout le pays.

© 1964 by New End

All rights reserved

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-567-7

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

„ნუ ეგუები ამ მშვიდ ღამეს ასე მორჩილად –  
არ შეურიგდე, აუჯანყდი სინათლის კვდომას...“  
დილან ტომასი



## ერთი

ადრე ქალაქს გორაკის თავზე მდგარი ქვის ანგელოზი გადმოსცქეროდა. არ ვიცი, ჯერაც იქ დგას თუ არა – იმ ქალის მოსაგონრად, ვისაც სწორედ მაშინ აღმოხდა მორჩილი სული, როცა ჯიუტი ნაშიერი მომავლინა ამ ქვეყანას: დედაჩემის ანგელოზი, მამამ საკუთარი ამპარტავნობის კარნახით რომ აღამართვინა იქ, ცოლის ნეშტის პატივისაცემად და, მისივე აზრით, ჩვენი გვარის უკვდავსაყოფადაც.

მერე უკვე ზამთარ-ზაფხულ გადმოსცქეროდა ქალაქს იმ თავისი ორმაგად უსინათლო თვალებით, რაკი მავან ქანდაქარს ამ ქვის თვალებში გუგების ამოკვეთაზე არც კი ეფიქრა. ყოველთვის უცნაურად მეჩვენებოდა: გორაკზე შემომდგარი, როგორ გაგვიძღვებოდა ზეცისაკენ, როცა არცკი იცოდა, თუ ვინ ვიყავით და რანაირები. ოღონდ მაშინ, ასაკის გამო, ამ ქანდაკის დანიშნულებას რას მივხვდებოდი და მხოლოდ მამაჩემის ნათქვამს ვჯერდებოდი, ხშირად რომ იმეორებდა ხოლმე: იტალიაში ვიყიდე, თან დიდი ფულიც გადავიხადე ამ ნაღდ თეთრ მარმარილოშიო. ახლა კი ვფიქრობ, ალბათ იმ შორეულ, მზიან ქვეყანაში ქვისმთლელებმა – ბერნინის დამცინავმა შთამომავლებმა – თავიანთი საქმე მშვენივრად იცოდნენ და ბევრ ასეთ ლოდსაც თლიდნენ, ჩვენი ველური მხარის ახლად გამოჩეკილ ფარაონთა გემოვნების ზედმინევნით დასაკმაყოფილებლად.

ქვის ანგელოზს ზამთრობით თოვლი ედო ფრთებზე, ზაფხულობით კი – ქვიშის მტვერი. მენავაკას სასაფლაოზე ის ერთადერთი არ ყოფილა, თუმცა პირველი კი იყო, ზომით სხვებზე დიდი და დანარჩენებზე ძვირადღირებულიც. სხვები, როგორც მახსოვს, სულ სხვა წარმოშობისა გახლდნენ, ნაკლებად კეთილშობილური წარმოშობის: ჩვეულებრივი, პირმრგვალი, ქვის დაბუმტულტუნებიანი ქერუბიმები; ზოგს ზეაპყრობილ ხელებში ქვისავე გული ეკავა, ზოგი კი მარადიულ მდუმარებში აჟღერებდა ქვის მომცრო, უსიმებო ქნარს, ხოლო ზოგს სულაც დამცინავად მიეშვირა თითი საფლავის წარწერისაკენ. დღემდე მახსოვს ერთი წარწერა, რომელიც სიცილის გუნებაზე გვაყენებდა ხოლმე:

იძინე გვვიღად  
რაჯინა უიზ –  
გოლომდე გამვლელო  
ცხოვრების გზის.  
1886

აი, ესლა დარჩა საბრალო რეჯინასაგან, რომელიც ისევე აღარ ახსოვს მენავაკაში არავის, როგორც მე, ჰეიგარი დამივინყა ყველამ. არადა, სულ ისეთი განცდა მქონდა, საკუთარი თავის გარდა, ვერც ვერავის დაადანაშაულებს-მეთქი, რადგან ერთი უხერხემლო, უენო, დიეტური საკვებებით უმარილო არსება გახლდათ, რომელიც წლიდან წლამდე მორჩილად, მარტვილის თავგამოდებით უვლიდა ავყია, უმადურ დედამისს. მერე კი, როცა რეჯინა რალაც უცნაურმა ქალურმა სენმა იმსხვერპლა, ის უხიაგი დედაბერი უცებ წამოდგა თავისი აქოთებული ლოგინიდან და უკვე დაოჯახებული ვაჟიშვილების გულის გასახეთქად, კიდევ მთელი ათი წელიწადი იცოცხლა. აი, იმაზე წამდვილად ვერ იტყვი, გაანათლოს მისი სულიო, რადგან ლამის ყურში ჩამესმის, ახლაც როგორ ბოროტად იცინის ჯოჯოხეთში, მისი იმქვეყნად უმანკოდ წასული ქალიშვილის სული კი ჩუმად ოხრავს სამოთხეში.



ზაფხულობით მთელი სასაფლაო იქაურობას მოდებული ველური ყაყაჩოების, სიროფივით ბლანტი, სამგლოვიარო სურნელით იჟღინთებოდა. მუქი ალისფერი თუ ღია ვარდისფერი ეს უცნაური ყვავილები, უწვრილესი ღეროებით, საკუთარი წონისა თუ წვიმის წვეთების სიმძიმით იხრებოდნენ მიწისაკენ, იმათ ხავერდოვან ფურცლებზე კი შინაურულად მიდი-მოდიოდნენ დაულაღავი ჭიანჭველები.

ბავშვობაში აქ ხშირად მისეირნია. მაშინ ხომ თითზე ჩამოსათვლელი იყო ისეთი ადგილები, სადაც ბილიკზე გულმშვიდად ივლიდი და არც იმის შეგეშინდებოდა, ან კაბის კალთას გამოვდებ ეკალს, ან თეთრ ნატის ფეხსაცმელს ჩავკრავ რამე სიბუნძურეშიო. ერთთავად სიკობტავე-სისუფთავეზე მეკეტებოდა ჭკუა და ისე დავაბიჯებდი, თითქოს ვინმე კუდაბზიკა ქალბატონი ვყოფილიყავი; მართლა მჯეროდა, ცხოვრებაში უმთავრესი წესრიგიანობაა-მეთქი. ზოგჯერ, როცა ცხელი, თავხედი ქარი დაუბერავდა, ერთიანად ააძაგდაგებდა ჯუჯა მუხებს და ჭანგა-ბალახას უხეშ ღეროებსაც ააშრიალებდა, ჯიუტად რომ ეპოტინებოდა მიცვალებულთა საგანგებოდ მოვლილ-ნალოლიავებ სამყოფელს, იმწამსვე ფურისულის სურნელიც დატრიალდებოდა ხოლმე. ამ ჭრელ, ველურ ყვავილს მყარად გაედგა მიწაში ფესვი და მართალია, მზრუნველი ჭირისუფლები დაუნდობლად ებრძოდნენ და ცდილობდნენ, მათიანების საფლავებთან არ მიეშვათ, იქ მოხვედრილ ადამიანს ზოგჯერ ორიოდ წამით მაინც დაეძგერებოდა ხოლმე ცხვირში მისი მძაფრი, მტვრით გაჯერებული სუნი. ამ მცენარეს დიდი ხნით ადრე დაეპყრო აქაურობა, ვიდრე სასაფლაოზე ფერხორციანი ყაყაჩო თუ ფრთებგახევებული ანგელოზები დამკვიდრდებოდნენ, ანუ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ვრცელ პრერიაში მარტო კრეეს ტომის იდუმალსახიანი, თმაგაპოხილი ინდიელები სახლობდნენ.

ბოლო დროს მოგონებები მომეძალა. ზოგადად, ასეთი რამ არ მჩვევია, უფრო სწორად, იშვიათად მემართება ხოლმე. ზოგი ამბობს, მოხუცები სულ წარსულით ცხოვრობენო. სისულელეა. სი-

ნამდვილეში თითოეულ ყავლგასულ დღეს ჩემთვის ახლა რაღაც განსაკუთრებული ფასი დაედო. შემიძლია ლარნაკში მოვათავსო და საათობით ვუცქირო აღფრთოვანებულმა – როგორც, ვთქვათ, გაზაფხულის პირველ ბაბუანვერებს, და არც გამახსენდეს, ჩვეულებრივი სარეველა რომაა, და მხოლოდ მათი არსებობით დავტკბეთუმცა, როგორც წესი, ხშირად თამამიც მიწვეს ხოლმე – ისეთი ადამიანების ხათრით, როგორიც მარვინია, ვისაც რატომღაც ჰგონია, რომ მოხუცი ქალები ისევე იკვებებიან საკუთარი წარსულით, როგორც ბაჭიები – კომბოსტოს ფურცლებით: აქაოდა, ძველ დროსა თუ ადათ-წესებს მეტი გემო აქვსო. არა, მაინც ძალიან უსამართლო ვარ. თუმცა სხვა რა დამრჩენია? ამგვარი შარის მოდება ჩემთვის ერთადერთი გასართობია. ეს და სიგარეტი, რასაც უსაქმურობის გადამკიდე დავეჩვიე ამ ათიოდე წლის წინ. მარვინს ოთხმოცდაათი წლის ქალისათვის მოწვევა დიდ სირცხვილად მიაჩნია. ეუხერხულება კიდევ, როცა ხედავს, ბედის უკუღმართობის გამო დედამისად გამწესებულ ჰეიგარ შიპლის როგორ მოუქცევია მოკრუნჩხულ თითებში სიგარეტის მოკლე, აბოლებული ღერი. ახლაც კიდევ ერთს ვუკიდებ და ჩემს ოთახში დავეფრატუნობ – გაბრაზებულს ისევ და ისევ წარსული მახსენდება მხოლოდ იმიტომ, ვერაფრით რომ ვერ გავქცევვიარ მის მარწუხებს. უნდა ვეცადო, ხმამაღლა არ ავლაპარაკდე, თორემ მარვინი დორისს გადახედავს, დორისი მრავალმნიშვნელოვან მზერას შეაგებებს და ერთ-ერთი მათგანი უთუოდ იტყვის: „ისევ თავისებურად წამოუარა დედას!“ რაც უნდათ, ის თქვან, რაღაში მადარდებს ხალხის ლაპარაკი? საკმარისზე დიდხანს ვაქცევდი ამას ყურადღებას.

ეჰ, ჩემო დაკარგულო კაცებო! არა, ამაზე არ ვიფიქრებ. ეგდა მაკლია, სქელო დორისმა ატირებული მნახოს. ჩემი ოთახის კარს საკეტიც არა აქვს. ასე მეუბნებიან – ეგ იმიტომ, რომ ღამე თუ ცუდად გახდი, ხომ უნდა მოგხედოთო (*მომხედონ*, ვითომ ოთახის ყვავილი ვიყო და მაღიმალ წყალი უნდა მისხან...). მოკლედ, როცა მოუნდებათ, ჩემთან მაშინ შემოეხეტებიან ხოლმე. მოხუცს და ბავშვს ვინ დატოვებს თავის ნებაზე, მარტო. ზოგჯერ ბავშვები და

მოხუცები შეთქმულებივით ეშმაკურად გადახედავენ ხოლმე ერთმანეთს და უსიტყვოდაც უგებენ – ეს იმიტომ, რომ ასაკობრივად მათ შორის მოქცეულებს ისინი ადამიანებად არც მიაჩნიათ.

ექვსის ვიქნებოდი – კი, ნამდვილად – როცა ჩემმა ონტარიოელმა დეიდამ შავი ხავერდის არშიამოვლებული, კუბოკრული სარაფანი შემიკერა, ღია მწვანე და ღია წითლად მოჩითული – ვარდისფრად კი არა, უფრო წყალწყალა წითელ ფერად, მწიფე საზამთროს გულივით. გამოვეწყობოდი ხოლმე ამ სარაფანში და პატარა ფარშავანგევით გაფხორილი, ამაყად ცხვირანეული დავიარებოდი ქალაქის ფიცარნაგზე, ჯეისონ კერის შავთვალწარბა, ქედმაღალი ასული.

სანამ სკოლის ასაკი მომიწევდა, მთლად გავტანჯე დეიდაჩემი დოლი. ჩვენი დიდი სახლი მაშინ სულ ახალი აშენებული იყო, რიგით მეორე აგურის შენობა მთელ მენავაკაში. დეიდაჩემიც სულ იმას ცდილობდა, ამ სახლის ღირსეულ ბინადრად წარმოეჩინა თავი, თუმცა კი მხოლოდ ხელის შესაშველებლად მოენვიათ. ქვრივი გახლდათ და ჩემი დაბადების მერე ჩვენთან ცხოვრობდა. დილაობით თავზე ჩაჩდაკოსებული დაიარებოდა და ალქაჯივით დამჭყვივებდა ხოლმე, როცა მივეპარებოდი და იმ ჩაჩს წავაძრობდი, მერძევე რუბენ პერლის თვალის საამებლად გამოვუმზეურებდი კეფაზე საგულდაგულოდ დახვეულ თმას. ასეთ დროს პირდაპირ მაღაზიაში მაგზავნიდა, სადაც მამაჩემი ვაშლის ცარიელ, გადმობრუნებულ ხის ყუთზე მსვამდა, ჭერმის ჩირითა თუ ქიშმიშით სავსე კასრებს შორის და მერე უკვე სიგრძისა და ზომა-წონის ერთეულებს მაზეპირებინებდა.

– ორი ჭიქა – ერთი კათხა; ორი კათხა – ერთი პინტი; ორი პინტი – ერთი კვარტი; ოთხი კვარტი – ერთი გალონი; ორი გალონი – ერთი პეკი; ოთხი პეკი – ერთი ბუშელი...

თვითონ დახლს იქით იდგა ხოლმე – ზორბა, მხარბეჭიანი. ერთთავად შოტლანდიურ კილოზე უქცევდა და თუ რამე დამავინწყებოდა, შემახსენებდა, ოლონდ არც იმის თქმა ავინწყებოდა, ყურადღებით თუ არ იქნები, ვერასოდეს ვერაფერს დაისწავლიო.

– უმეცარი გინდა დარჩე? უტვინო სულელი?

– არა.

– მაშინ ჭკუა მიატანე.

როცა ყველაფერს სწორად ჩამოვუთვლიდი – ფულის ერთეულებსაც, სიგრძე-სიგანისასაც, წონა-მოცულობისასაც – უბრალოდ, თავს დამიქნევდა და სულ ეგ იყო, ან დიდი-დიდი, ეთქვა: თუ მოინდომებ, შეგძლებიაო...

საერთოდ, სიტყვას კი არა, ნუთსაც არ ხარჯავდა ფუჭად. ცხოვრებაში ყველაფერს სხვის დაუხმარებლად მიაღწია. სულ იმას ეუბნებოდა მეთსა და დენს – თავიდან ჯიბეგაფხეკილმა დავინყე და თვითონვე ამოვართიე საკუთარი თავი ლაფიდანო. არაფერს იგონებდა – ამას ვერ დაუკარგავდი. ჩემი ძმები უფრო დედას დაემსგავსნენ: სანდომიანი, ოლონდ უხერხემლო ბიჭები გამოდგნენ, სულ მამის გულის მოგებას ცდილობდნენ, მაგრამ ამას იშვიათად თუ ახერხებდნენ. მე კი, პირიქით, ოდნავაც არ მსურდა, იმას ვმგვანებოდი, არადა, სწორედ მე გამომყვა მამაჩემის პირდაპირობა, კაუჭა ცხვირი და უტეხი მზერა.

*უსაქმობა ეშმაკს გადაგკიდებსო*, – მამაჩემს მარტო ამგვარი შეგონებებისა სწამდა, ეს იყო მისი *მამაო ჩვენოცა და მრწამსიც*. სულ კრიალოსანივით მარცვლავდა თუ ხურდა ფულივით ალაგებდა ერთიმეორეზე: *ხელი გაანძრიე და ღმერთი გიშველისო, ძალა ერთობაშიაო* და სხვა.

შვილების გასაროზგად მხოლოდ არყის ხის ნკეპლებს იყენებდა. ასე იქცეოდა თურმე მამამისიც, ოლონდ ეს სხვაგან, სხვა ქვეყანაში. არ ვიცი, რას იზამდა, მენავაკის ირგვლივ არყის ჭალები რომ არ ყოფილიყო. მართალია, აქაური არყი ტანდაბალი იყო, მჭლე და შეუხედავი, მაგრამ მამაჩემის გულის გასახარად, ეგეც გამოდგებოდა. ყველაზე მეტი მეთსა და დენს ხვდებოდათ – ბიჭები იყვნენ და თან უფროსები. მერე, გაროზგილები, მაშინვე მე მომადგებოდნენ და მეც იმავე დღეში მაგდებდნენ, რაც თავად გამოევლოთ, ოლონდ საამისოდ ნეკერჩხლის ფოთოლგაუცვლელ ტოტებს იყენებდნენ. ძნელი დასაჯერებელია, ამ რბილ ფოთლებს ასეთი ტკივილის

მოყენება თუ შეეძლო – ისე მენვოდა ჯერაც ბავშვურად ფუმფულა თეძო-ბარძაყები, ჯოჯოხეთის სამთავა მხეცივით ვყმუოდი ხოლმე – არ ვიცი, უფრო ტკივილისგან თუ სირცხვილისგან. ისინი კი სისინით მაჩუმებდნენ და მემუქრებოდნენ, ვინმეს თუ ეტყვი, განჯინაში შენახული, პურის დაკბილული დანით გამოგჭრით ყელს და მერე, სისხლისაგან დაცლილი, ჰანა პერლის მკედრადშობილ ბავშვს დაემგვანები, სიმონსის დამკრძალავ ბიუროში რომ იწვა, თეთრ ატლასგამოკრულ ჰანია კუბოში, გადაფითრებულიო. თუმცა, როცა ერთხელ ყური მოვკარი, როგორ დასძახოდნენ სათვალთან მეთს სკოლაში „ოთხთვალას“, დეიდა დოლიმ კი დენი დატუქსა, უკვე რვა წლის ხარ და ლოგინში მაინც გეპარებაო, მივხვდი, ველარაფერს გამიბედავდნენ და სულ წვრილად ჩავუყაკლე მამას ყველაფერი. ეს იყო და ეს, ამან ჩემს ტანჯვას წერტილი დაუსვა. ორივეს საკადრისი მიეზლო და თანაც, პირდაპირ ჩემ თვალწინ. მერე კი ვინანე ამ ენატანიობის გამო, ვცადე კიდევ მათთვის მობოდიშება, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურდათ.

ჩვენში დარჩეს, სულ ტყუილად ისანყლებდნენ თავს, ვითომ მარტო იმათ ერჩოდა მამაჩვენი. მეც გვარიანად მომხვედრია, ოღონდ შედარებით იშვიათად. მამა ისე ამაცობდა თავისი მალაზიით, თითქოს ამქვეყნად ეგეთი სხვა არ არსებობდა. ერთი ეგაა, მენავაკაში ნამდვილად ის გაიხსნა პირველი და ეტყობა, საამაყოდ კმაროდა. მუშტრის დანახვაზე ისე გადმოიხრებოდა დახლზე და, პირგალიმებული, ისე გაშლიდა ხელებს, გეგონებოდათ, მთელ სამყაროს თავისთან ეპატიჟებაო.

იმ დღესაც ვეჩილის მეუღლემ, უაზრო ქუდების დიდმა მოყვარულმა, ქალბატონმა მაკვიტიმ პასუხად თვითონაც შეჰღიმა და კვერცხი მოითხოვა. ახლაც მახსოვს ის კვერცხები – ფერად მოყავისფრო, რომლებზეც ქალი ამბობდა: ბევრად უფრო მანწერია თეთრნაჭუჭიანთან შედარებითო. მე მაშინ შავი, სპილენძის აბზინდებიანი ფეხსაცმელები, უშნოდ ნაქსოვი, სქელი, ზოლიანი წინდები და გრძელსახელოებიანი შალის კაბა მეცვა, ყოველ წელიწადს აღმოსავლეთ სანაპიროზე რომ უკვეთდა მამაჩემი. ცხვირი ქიში-

შით სავსე კასრში ჩავყავი იმ იმედით, ეგებ ერთი მუჭა დავითრიო, ვიდრე ის საქმითაა დაკავებული-მეთქი.

– ნახეთ ერთი, აქ ვინ დაცუნცულებს! პანანუები...

გამეცინა კიდევ ამ ღინღიანი, ერთი ბენო არსებების დანახვაზე. ფეხებიც პანანინა ჰქონდათ, თუმცა ისე სწრაფად დასუნსულებდნენ, თვალს ვერ შეავლებდი. გამიხარდა, სამზეოზე გამოსვლა რომ გაეხდებოდა, მამაჩემის ვეება ულვაშისა და სამართლიანი აღშფოთების მიუხედავად.

– როგორ იქცევით, მის?

ლოყაზე განწული სილა სახსენებელიც არ იყო იმასთან, რაც ქალბატონ მაკვიტის წასვლის მერე დამანია თავს უკვე მალაზიის უკანა ოთახში.

– შენ რა, დარდი არა გაქვს, ხალხი რას იტყვის?

– დავინახე და რა ვქნა!

– აუცილებლად ქვეყანას უნდა გააგებინო?

– არ მინდოდა...

– მოსახდენი თუ მოხდა, ბოდიშს რაღა აზრი აქვს. აბა ერთი, ხელები გამოინვდინე!

ისეთი გამწარებული ვიყავი, ცოცხალი თავით არ დავანახებდი ცრემლს. სახაზავს მირტყამდა ხელებზე, ხოლო როცა უნებურად ხელები უკან წამოვიღე, მაშინვე ისევ გამომანვდენინა. ბრაზმორეული მომჩერებოდა უცრემლო თვალებში, თითქოს ეს მისი დამარცხების ნიშნად მიეჩნია. გაუჩერებლად მირტყამდა, მერე უცებ სახაზავი მოისროლა და მკლავებში მომიმწყვდია. ისე მბლუჯავდა, კინალამ სული შემისხუთა უხეშ სამოსში გამჯდარმა ნაფტალინის სუნმა. ხელფეხშებორკილი, დაფეთებული ვცდილობდი გამოთავისუფლებას, მაგრამ მამაჩემი ამას აინუნშიც არ აგდებდა. როდის-როდის მიშვა ხელი. გაცეცხულმა შემათვალთქერა, თითქოს რაღაცის ახსნას მიპირებდა, ოღონდ თავადაც არ იცოდა, რისას.

– მთლად ჩემი ალიკვალი ხარ, – თქვა ისეთი ხმით, აქაოდა, ესაა ყველა კითხვის პასუხიო, – ზუსტად ჩემსავით უტეხი.

ცარიელ ყუთზე ჩამოჯდა და მეც მუხლზე დამისვა.

– ერთ რამეს უნდა მიხვდე, – უკვე დინჯად, ლამის დამარცვლით მელაპარაკებოდა. – როცა სახაზავს ვიღებ ხელში, მეც ისევე მტკივა, როგორც შენ.

ეს ადრეც არაერთხელ გამეგონა მისგან, ოღონდ როცა ახლა შავად მბზინავი თვალებით მივაჩერდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ უტიფრად მატყუებდა. ისე, ნამდვილად ვგავდი მამაჩემს – ღმერთია მონმე, წმინდა წყლის სიმართლეს ამბობდა.

მერე გამოღებულ კარში ვიდექი – გაავებული, ყოველ წამს გასაქცევად გამზადებული.

– გადაყრი?

– რას?

– ქიშიშს. მითხარი, გადაყრი?

– შენს საქმეს მიხედე, მის! – შემომიღრინა. – თორემ იცოდე...

ვცდილობდი, სიცილსა და ცრემლს ერთდროულად მოვრეოდი, ზურგი შევაქციე და გამოვიქეცი.

იმ წელს ბევრნი შევედით სკოლაში. შარლოტ ტეპენი ექიმის ქალიშვილი იყო, ნაბლისფერი თმა ჰქონდა და უფლებას აძლევდნენ, გამოლილი ეტარებინა, მაშინ როცა დეიდა დოლი მე ჯერ ისევ ნაწნავებს მიწნავდა. შარლოტი და მე საუკეთესო მეგობრები ვიყავით, სკოლაშიც ერთად დავიარებოდით და სულ იმაზე ვიტყვდით თავს, ნეტავ როგორია, ლოტი დრაიზერი რომ ხარ და საკუთარი მამის ასავალ-დასავალი კი არა, ვინაობაც არ იციო. ოღონდ ბიჭებისაგან განსხვავებით, ჩვენ ლოტისთვის „უგვარტომო“ არასოდეს დაგვიძახია, თუმცა ზურგსუკან კი დავცინოდით ხოლმე. ვიცოდით, ვერაფერი მოსაწონი საქციელი იყო და თან გვრცხვენოდა, თან მაგრამაც ვხალისობდით – სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა დავინახე, ტელფორდ სიმონსმა საპირფარეოსო მაგივრად, პირდაპირ ბუჩქების უკან რომ მოისაქმა.

ტელფორდის მამას მაინცდამაინც დიდ პატივს არავინ სცემდა. დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე კი გახლდათ, მაგრამ ერთთავად ჯიბეგაფხეკილი დაიარებოდა. ფულს ანიავებსო, ამბობდა მამაჩემი და მეც გვიანლა მივხვდი, მის ლოთობას რომ გულისხმობდა. ერ-

თხელ მეთმა მითხრა, ბილი სიმონსი დასაბალზამებელ სითხეს სვამსო და ეს კარგა ხანს მჯეროდა – ვფიქრობდი, მაქციაა-მეთქი და ქუჩაში თუ გადავეყრებოდი, სულ ვცდილობდი, საჩქაროდ ჩამეველო გვერდზე. ისე კი თავაზიანი, ყურადღებიანი კაცი იყო და ტელფორდსაც სულ შოკოლადს ატანდა სკოლაში, ჩვენთვის ჩამოსარიგებლად. ტელფორდს ხუჭუჭი თმა ჰქონდა და ცოტათი ენას უკიდებდა, თავსაც ბევრი ვერაფრით მოიწონებდა იმის გარდა, მისი სახლის გათოშილ სარდაფში დროდადრო მიცვალებულს რომ დაასვენებდნენ ხოლმე. ერთხელ ვუთხარი, შენი არ გვჯერა, იქ ალბათ ცხვირსაც არ გაყოფინებენო და იმანაც ჰენრი პერლის ახლად გარდაცვლილი პატარა დის სანახავად წაგვიყვანა. სარდაფში ფანჯრიდან გადავძვერით, მთელი ჩვენი ხროვა, ტელფორდის წინამძღოლობით. მისს უკან კაფანდარა, აბრეშუმის ძაფივით წვრილთმიანი ლოტი დრაიზერი მიჰყვებოდა, ერთთავად ნაკემს-ნაკერები ტანისამოსი რომ ეცვა, თუმცა სითამამითა და გაბედულებით ტოლს არ უდებდა არავის. მას დანარჩენები მივდევიტ კვალში: შარლოტ ტეპენი, ჰეიგარ კერი, დენ კერი და ჰენრი პერლი, ვისაც წამოსვლა ძალიან არ უნდოდა, მაგრამ ალბათ ფიქრობდა, ქალაჩუნობას დამაბრალებენ და ქვეშაფსიას დამიძახებენ, როგორც იციან ხოლმეო.

არადა, ქალაჩუნობისა არაფერი ეცხო. ჯმუხი, ჩაფსკენილი ბიჭი იყო, ყოველდღე საკუთარი ცხენით მოდიოდა სკოლაში ფერმიდან და ჩვენთან დროსტარებას იშვიათად ახერხებდა, იმდენ რამეში ეხმარებოდა ოჯახს.

სარდაფში ისე ციოდა, როგორც ჩვენი ქალაქის ყინულის სანყობში, სადაც ზამთარში მდინარიდან მოზიდულ ყინულის დიდრონ ნატეხებს მთელი ზაფხული ნახერხში ინახავდნენ. აკანკალებულები ვჩურჩულებდით: აქ რომ წაგვასწრონ, რას გვიზამენო. ჩვილს თვალს ვარიდებდით. შარლოტი და მე დანარჩენებს ამოვფვარეთ, აი, ლოტიმ კი კუბოს შუშის თავსახური ახადა, ჯერ თეთრ ხავერდსა და სატინის ნაკეცებს გადაუსვა ხელი, მერე კი – პანია, მოჭმუჭნულ, გაფითრებულ სახესაც. ბოლოს ჩვენ გამოგვხედა – აბა, ამავეს თუ გაბედავთო, მაგრამ მსურველი არავინ გამოჩენილა.



– თქვე დედლებო, – გვითხრა ლოტიმ. – მეც თუ ოდესმე მომიკვდა შვილი, ზუსტად ასე ჩავანვენ, თეთრ სატინში გახვეულს.

– მანამდე ჯერ მამამისის პოვნა მოგიწევს.

ეს დენიმ უთხრა, იმას აბა, რა დაადგებოდა ენაზე.

– ხმა ჩაინყვიტე, – გაბრაზდა ლოტი. – გაჩუმდი, თორემ...

შეშინებული ტელფორდი ადგილზე ცქმუტავდა.

– წამო, წავიდეთ. აქ თუ წაგვასწრო, დედაჩემს ვერ გადავურჩებით.

სიმონსები იმავე სახლში ცხოვრობდნენ, დამკრძალავი ბიუროს თავზე. ბილი სიმონსის დარდი არ უნდა გვექონოდა. აი, ტელფორდის დედა კი ერთი უჟმური, ავი, ცხენისსახიანი ქალი იყო, სკოლიდან დაბრუნებულ ტელფორდს პარმალზევე მიაგებებდა ხოლმე ნამცხვარს, ოღონდ სხვა ბავშვებისთვის არასოდეს არაფერი გამოუშვებდა; ტელფორდიც უგემურად დაუნყებდა ხოლმე იმ ნამცხვარს ლოლნას, დედის დაჟინებული მზერით მონუსხული. შემოვტრიალდით და წამოვედით, ლოტიმ კი უცებ ტელფორდს ისეთი რამე გადაუჩურჩულა, მე და შარლოტმა სიცილი ვერ შევიკავეთ:

– ნუ გეშინია, ტელფორდ. შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ. დედაშენს ვეტყვი, დენმა გვაიძულა-მეთქი.

– ეგ არც იფიქრო, – ამოიხვნეშა ტელფორდმა და სარდაფის სარკმელში გაძვრა. – ეგ არ გვიშველის. ყურსაც კი არ დაგიგდებს.

როცა ისევ ეზოში აღმოვჩნდით, სარკმელი მივხურეთ და სამშვიდობოს დავიგულეთ თავი, ახლა დამალობანას თამაში დავიწყეთ ვეება ნაძვებქვეშ, იქაურობას რომ ჩრდილავდა და აგრილებდა. მხოლოდ ლოტი არ იღებდა მონანილეობას – პირდაპირ შინ გაეშურა.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი, რაც მამაჩემს ძალზე სიამოვნებდა. ზოგჯერ, როცა მალალ შეფასებას დავიმსახურებდი, ერთ პარკ სანუნს კანფეტს ანდა შოკოლადის ფილას მჩუქნიდა ხოლმე, ზედ დაკრული დაშაქრული ბარათებით: „სულ ჩემი იყავი“, „ჩემო ულამაზესო“, „მუდამ გიყვარდე“, „არ მომატყუო“. სალამოობით დენი, მეთი და მე სასადილო მაგიდას შემომსხდარნი ვემოცადინებოდით. სულ ცოტა, ერთი საათი მაინც უნდა დაგვეთმო ამ საქმი-

სათვის და თუ უფრო ადრე მოვითავებდით, მამა დამატებით გვარჯიშებდა არითმეტიკაში და რჩევა-დარიგებებსაც არ იშურებდა.

– ამ ცხოვრებაში სხვაზე მეტი სიბეჯითე თუ არ გამოიჩინეთ, ვერაფერს მიაღწევთ, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა. ვერცხლის ლანგრით არავინ არაფერს მოგართმევთ, მარტო საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ და დიდი სიჯიუტეც გმართებთ ნარმატების მისაღწევად. ზოგჯერ კი მუჯღუგუნებითაც მოგიწევთ გზის გაკვლევა.

ვცდილობდი, ამგვარი შეგონებები გულს გარეთ გამეტარებინა – მეგონა, ვახერხებდი კიდეც, თუმცა წლები გავიდა და მივხვდი, ჩემს ორ ბიჭს ამავეს სულ სიტყვა-სიტყვით ვუმეორებდი.

საშინაო დავალების მომზადებას შეგნებულად ვაჭიანურებდი – მამაჩემს დამატებით მაგალითები რომ არ ამოეხსნევიებინა. ანბანის ნახატებიანი წიგნი გვექონდა, სიტყვებს თითს ვაყოლებდი და ისე დავცქეროდი პატარ-პატარა სურათებს, თითქოს იმედი მქონდა, სადაცაა, დაიბერებიან, აყვავილდებიან და რაღაც სხვად, იმვით რამედ გადაიქცევიან-მეთქი.

*ეს მარცვალია. მარცვალი ყავისფერია.*

მაგრამ ჯიუტი, ფურცელზე შავად დახატული მარცვალი არ იცვლებოდა, იგივე რჩებოდა და ბოლოს დეიდა დოლიც გამოყოფდა ხოლმე თავს სამზარეულოდან.

– ბატონო კერი, ჰეიგარის ძილის დროა.

– კარგი. აბა, ადი, შვილო, შენს ოთახში.

თუ უკმაყოფილო იყო ჩემით, „მისს“ მეძახდა, „შვილოთი“ კი მაშინ მომმართავდა, როცა კარგ ხასიათზე იყო; ოღონდ სახელით არასოდეს მოუმართავს.

როგორც ჩანს, ჰეიგარი ჩემი შეძლებული, უშვილო, შოტლანდიელი პაპიდის გულის მოსაგებად დამარქვეს, თუმცა ამან მამაჩემის იმედები არ გაამართლა – პაპიდამ მთელი ქონება რომელიღაც საქველმოქმედო საზოგადოებას უანდერძა.

ერთხელ, ჩვენი კიბის პრიალა მოაჯირს ჩაჭიდებული, ზემოთ ვაპირებდი ასვლას, როცა გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდა ჩემზე მამა დეიდა დოლის:

– ეს გოგო მართლა ჭკუის კოლოფია. აი, ცოტა...

უცებ გაჩუმდა – როგორც ჩანს, ტანმა უგრძნო, რომ სასადილო ოთახში ჩემი ძმები ყურდაცქვეტილები უსმენდნენ.

უკვე მაშინ სამივე მშვენივრად ვხვდებოდით, რომ როცა მამა ამბობდა, ლაფიდან საკუთარი თავი თვითონ ამოვიყვანეო, ცხოვრების უფულოდ დანყებას გულისხმობდა. არადა, კარგი ოჯახიშვილი იყო, რაც, თავისთავად, რალაც უპირატესობას ნიშნავს. ბაბუაჩვენის პორტრეტი სასადილო ოთახში გვეკიდა – მუქ, მომწვანო-ზეთისხილისფერ ფონზე; ზეთის საღებავებით გამოსახულ მოხუც, სახემომჭკნარ ვაჟბატონს სასაცილო ჟილეტი ეცვა, ჭრელი, ჭიაყელასავით დაკლაკნილ ნაყშებიანი.

– თქვენს დაბადებამდე გარდაიცვალა, – გვიამბობდა ხოლმე მამა, – მეც კი ვერ მნახა უკვე ფეხზე დამდგარი. შინიდან ჩვიდმეტი წლისა წამოვედი და მერე აღარ შევხვედრილვართ ერთმანეთს. შენ ბაბუაშენის სახელი გქვია, დენ. იმას სერ დენიელ კერის უხმობდნენ და ეს წოდებაც მასთან ერთად დასამარდა, რაკი ბარონეტი არ ყოფილა. აბრეშუმი შემოჰქონდა, თუმცა მანამდე, ახალგაზრდობისას, ინდოეთში სამსახურითაც გამოეჩინა თავი. დიდი ვერაფერი ვაჭარი გამოდგა, ლამის ყველაფერი დაკარგა, ოღონდ მისი ბრალი მხოლოდ ის იყო, ზედმეტად მიმნდობი ხასიათი რომ ჰქონდა. ამხანაგმა მოატყუა, ბინძურ საქმეში გარია და დარჩა ასე, პირში ჩალაგამოვლებული. მეც რისი იმედილა უნდა მქონოდა, დავრჩი ჯიბეგაფხეკილი... ოღონდ სამდურავს მაინც არაფერს ვიტყვი – მამაჩემზე ნაკლებად არ ამიწყვია ცხოვრება, ეგებ იმაზე მეტიც კი მოვახერხე, რადგან არც ერთ ამხანაგს არ მივნდობივარ და სანამ პირში სული მიდგას, არც მივენდობი. ისე, კერი შოტლანდიელ მთიელთა გვარია. მეთ, აბა, მითხარი ერთი, რომელ კლანს ვეკუთვნოდით?

– კლანრანალდ მაკდონალდისას.

– სწორია. და ჩვენი გუდასტვირი რას უკრავს, დენ?

– კლანრანალდის საბრძოლო მოძახილს, სერ.

– ეგეც მართალია.

მერე მე შემომხედავდა და ღიმილით მკითხავდა:

– და ჩვენს საბრძოლო ყიჟინაზე რას მეტყვი, გოგო?

ჭკუა მეკეტებოდა ამ ყიჟინაზე, თუმცა კი მისი აზრი საერთოდ არ მესმოდა. ისეთი მონადინებით დავძახებდი ხოლმე, ჩემს ძმებს ფხუკუნი უტყვებოდათ, მამა კი ამის გამო ძალიან ბრაზობდა:

– *დამიდექით, ვისაც გული გერჩით!*

მამაჩემის ნაამბობიდან გამომდინარე, მეგონა, რომ შოტლანდიელი მთიელები ამქვეყნად ყველაზე იღბლიანები იყვნენ. მთელ დღეებს ორლესული მახვილების ქნევაში ატარებდნენ, ღამეებს კი – კოცონის ირგვლივ ფერხულში. თან ყველანი ციხე-დარბაზებში ცხოვრობდნენ და, რალა თქმა უნდა, ყველანი ერთიანად სულ ჯენტლმენები გახლდნენ. უნდა გენახათ, როგორ ვდარდობდი, რატომ წამოვიდა იქიდან და ამ უსაშველო პრერიაში რატომ დასახლდა, სადაც მთელი ღირსშესანიშნაობა ნარშავის ბუჩქები, წრიპინა ზაზუნები და უჯიშო არყის ხეებია-მეთქი. ქალაქში აგურის ათიოდე რიგიანი სახლი თუ იდგა, დანარჩენი სანყალობელი ქოხმახები და გაფისულსახურავიანი ხუხულები იყო, ერთნაირად რომ უღებდა ბოლოს ზაფხულის ხვატიცა და ზამთრის სუსხიც – თავის მხრივ, ისიც ერთნაირად რომ ყინავდა წყალს ქებში და სისხლს ძარღვებში... ალბათ, რვა წლისა ვიქნებოდი, როცა ჩვენს ქალაქში ახალი პრესვიტერიანული ეკლესია ააშენეს. მამამ ნება დამართო, მის გახსნას დავსწრებოდი და საკვირაო სკოლაში არ წავსულიყავი. გაურანდავი ხის, მთლად უბრალო შენობა იყო, საღებავისა და ნედლი ფიცრის სუნით გაჯერებული. ჯერ ვიტრაჟებიც არ ჩაესვათ ჩარჩოებში, თუმცა ვერცხლის შანდლები კი გაემწკრივებინათ და ყოველ მათგანზე მომცრო ფირფიტა მიემაგრებინათ, რომელზეც მამაჩემის გვარ-სახელი იყო ამოტვიფრული. მამაჩემს და კიდევ რამდენიმე ადამიანს საპატიო ადგილი ჰქონდათ მიჩენილი, რაკი წინდანიწვე შეეძინათ სკამები და რბილი, ღია ყავისფერი ხავერდიც გადაეკრათ ზედ – ხანგრძლივი ღვთისმსახურებისას მათ პატივცემულ ჯალაბობას ზედმეტად რომ არ დაბუჟებოდა ერთი ადგილი.

– ამ დიდებულ დღეს, – მთელი გრძნობით მოგვმართა ღირსმა მამა დუგალ მაკკალოკმა, – განსაკუთრებული მადლიერება მინდა